

## **დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ანალიზური ამოხსნა პარაბოლურ ჭრილიანი უსასარულო სხეულისათვის**

პარაბოლურ კოორდინატებში აგებულია დრეკადობის თეორიის ორგანოზომილებიანი ამოცანების ანალიზური (ზუსტი) ამონახსნები. წარმოდგენილია პარაბოლურ კოორდინატთა სისტემის საკოორდინატო ღერძებით შემოსაზღვრული ერთგვაროვანი იზოტროპული სხეულის დრეკადი წონასწორობის გარე სასაზღვრო ამოცანები, როდესაც პარაბოლურ საზღვარზე მოცემულია ნორმალური ან მხები ძაბვები. ანალიზური ამონახსნები მიღებულია ცვლადთა განცალკევების მეთოდით. MATLAB-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მიღებულია ხსენებული სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი შედეგები და აგებულია შესაბამისი გრაფიკები.